გორის მუნიციპალიტეტის

საკრებულო

განკარგულება № 90

2023 წლის 9 ივნისი

ქ. გორი

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „გორის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების სააგენტოს“ (ს.ნ 418469516) სახელწოდების შეცვლის თაობაზე გორის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

2022 წლის 03 ნოემბერს დამტკიცდა საქართველოს კანონი „ტანისა და თემმის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ“, რომელიც ამოქმედდა 2023 წლის 01 იანვრიდან და ითვალისწინებს გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ტანისა და თემმის დაცული ლანდშაფტის და ტანის აღკვეთილის შექმნას.

„ტანისა და თემმის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, სახელმწიფოს მიერ გორის მუნიციპალიტეტისთვის დელეგირებულიუფლებამოსილებებია:

ა) ტანისა და თემმის დაცული ლანდშაფტის ტერიტორიის მოვლაპატრონობა, შენარჩუნება, აღდგენა, დაცვა და ბუნებრივი რესურსებითსარგებლობის უზრუნველყოფა;

ბ) საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ტანისა და თემმის დაცულილანდშაფტის მენეჯმენტის გეგმის ან დროებითი რეგულირების წესისშემუშავება;

გ) მონიტორინგისა და მეცნიერული კვლევის ორგანიზება, დაკვირვებითმიღებული მონაცემების დამუშავება, შენახვა და გავრცელება;

დ) ტანისა და თემმის დაცული ლანდშაფტის მდგომარეობის შესახებმოხსენების რეგულარულად მომზადება;

ე) ტანისა და თემმის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრირება;

ვ) ტანისა და თემმის დაცული ლანდშაფტის ფუნქციონირებისთვისაუცილებელი სამშენებლო საქმიანობისა და კეთილმოწყობის სამუშაოების(ბილიკების, ზღუდეების, თავშესაფრების, გზამკვლევების მოწყობისა დასხვა) ორგანიზება;

ზ) ტანისა და თემმის დაცულ ლანდშაფტთან დაკავშირებულისაერთაშორისო თანამშრომლობა და შესაბამის პროგრამებში მონაწილეობა;

თ) სამთავრობო დაწესებულებებსა და ადგილობრივ და საერთაშორისოარასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა;

ი) დაინტერესებულ საზოგადოებასთან თანამშრომლობა;

კ) ტანისა და თემმის დაცული ლანდშაფტის ტერიტორიაზე ტურისტულიმომსახურების გაწევის ტარიფების განსაზღვრა;

ლ) საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 239-ე მუხლის მე-4^4 ნაწილით განსაზღვრული კოდექსის მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ჩადენისას ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების შედგენა;

მ) საქართველოს საკანონმდებლო აქტებით გათვალისწინებული სხვა საქმიანობების განხორციელება.

„ტანისა და თეძმის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-3 - მე-5 პუნქტებით განსაზღვრულია, რომ ტანისა და თეძმის დაცული ლანდშაფტის ტერიტორიის მართვასთან დაკავშირებული ცალკეული საკითხების შესასწავლად და შესაბამისი დასკვნებისა და რეკომენდაციების მოსამზადებლად მუნიციპალიტეტის საკრებულო საქართველოს

კანონმდებლობის შესაბამისად ქმნის სათათბირო ორგანოს (საბჭოს). ტანისა და თეძმის დაცული ლანდშაფტის ტერიტორიის მართვასთან დაკავშირებული ცალკეული საკითხების შესასწავლად და შესაბამისი დასკვნებისა და რეკომენდაციების მოსამზადებლად გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შექმნილი სათათბირო ორგანოს (საბჭოს) მიერ 2023 წლის 5 აპრილს მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ ა(ა)იპ „გორის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების სააგენტოში“ ერთ-ერთ განყოფილებად შექმნილიყო ტანისა და თეძმის დაცული ლანდშაფტის ტერიტორიის მართვასთან დაკავშირებული ადმინისტრაცია. აღნიშნული გადაწყვეტილების საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 10 აპრილის №20.20231005 ბრძანებით განხორციელდა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „გორის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების სააგენტოს“ (ს.ნ 418469516) რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილების რეგისტრაცია - არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „გორის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების სააგენტოს“ წესდების შეცვლა ახალი წესდებით. მითითებული ცვლილებით ა(ა)იპ „გორის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების სააგენტოში“ (ს.ნ 418469516) შეიქმნა ტანისა და თეძმის დაცული ლანდშაფტის მართვის განყოფილება და ა(ა)იპ „გორის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების სააგენტოს“ დამატებით დაევალა შემდეგი ამოცანების განხორციელება:

ა) ტანისა და თეძმის დაცული ლანდშაფტის უნიკალური ეკოსისტემის, ცალკეული ბუნებრივი კომპონენტების გადაგვარება-განადგურებისგან დაცვა;

ბ) ტანისა და თეძმის დაცული ლანდშაფტის ეროვნული მემკვიდრეობის, ხუროთმოძღვრების ძეგლებისა და ისტორიულ-კულტურული ლანდშაფტის შენარჩუნება და მოვლა-პატრონობა; მშენებლობის კონტროლი და უნებართვო მშენებლობის ან დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები განხორციელება;

გ) ტანისა და თეძმის დაცული ლანდშაფტში მაღალმთიანი ბუნებრივი და ისტორიულ-კულტურული ლანდშაფტის რესურსებზე მზარდი რეკრეაციული მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად საჭირო ინფრასტრუქტურის შექმნა; ტანისა და თეძმის დაცული ლანდშაფტის ტერიტორიაზე მართვის ორგანოს დავალებით ტყის აღრიცხვა, დაგეგმვა და მონიტორინგი, აგრეთვე, საჭიროების შემთხვევაში, დაცულ ლანდშაფტში ნებადართული, საქართველოს კანონის „ტყის კოდექსი“ გათვალისწინებულ შემთხვევეებში ჭრის წარმოება;

დ) ტანისა და თეძმის დაცული ლანდშაფტის ეკოსისტემის და მის ფარგლებში გავრცელებული ცხოველთა და ველურ მცენარეთა სახეობების კონსერვაცია და აღდგენა;

ე) ტანისა და თეძმის დაცული ლანდშაფტში რეკრეციულ-ტურისტული და საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელება და ტრადიციული სამეურნეო საქმიანობის ხელშეწყობა.

ვ) ტანისა და თეძმის დაცული ლანდშაფტში სხვა საქმიანობის განხორციელება საქართველოს კანონმდებლობის, ტანისა და თეძმის დაცული ლანდშაფტის მენეჯმენტის გეგმის ან დროებითი რეგულირების წესის, აგრეთვე გორის მუნიციპალიტეტის ორგანოების/თანამდებობის პირების სამართლებრივი აქტების შესაბამისად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და იმის გათვალისწინებით, რომ მითითებული ა(ა)იპ-ის სახელწოდება საკრებულოს მიერაა განსაზღვრული, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის (ს.ნ 418469516) სახელწოდება - „გორის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების სააგენტო“ შეცვალოს ახალი სახელწოდებით - „გორის მუნიციპალიტეტის განვითარებისა და ტანისა და თეძმის დაცული ლანდშაფტის მართვის სააგენტო“.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის (ს.ნ 418469516) სახელწოდება - „გორის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების სააგენტო“ შეცვალოს ახალი სახელწოდებით - „გორის მუნიციპალიტეტის განვითარებისა და ტანისა და თემმის დაცული ლანდშაფტის მართვის სააგენტო“.

2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში, სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქალაქი გორი, სერგო ჯორბენაძის ქ.№30).

საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე